KA030150625410317

**№ 01-20331** **20 / სექტემბერი / 2017 წ.**

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის მინისტრს ბატონ დავით სერგეენკოს
მინისტრის მოადგილის
ზაზა სოფრომაძის

მოხსენებითი ბარათი

ბატონო დავით,

მოგახსენებთ, რომ „2017 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 30 დეკემბრის № 638 დადგენილების მე-18 დანართის „სასწრაფო გადაუდებელი დახმარება და სამედიცინო ტრანსპორტირების“ მე-3 მუხლის „ბ.ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ „საგანგები სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი“ (შემდგომში ცენტრი) უზრუნველყოფს სამედიცინო ბრიგადის მიერ გადაუდებელი სამედიცინო დახმარების მიწოდებას საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2012 წლის 3 აპრილის № 01-17/ნ ბრძანებით განსაზღვრული სასწრაფო დახმარების ბაზისური მედიკამენტებითა და ბაზისური სამედიცინო დანიშნულების საგნებით და საჭიროების შემთხვევაში – სამედიცინო ჩვენებით პაციენტის ჰოსპიტალიზაციას შესაბამისი პროფილის უახლოეს კლინიკაში. მაღალმთიან რეგიონებში რთული კლიმატური ან/და რელიეფური თავისებურების გათვალისწინებით, ყოველდღიურ რეჟიმში, შეუძლებელი ხდება არსებული სასწრაფო დახმარების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით სასწრაფო სამედიცინო დახმარების მომსახურების მიწოდება, აღიშნული პრობლემის გადაჭრისათვის, ცენტრს დამატებით ესაჭიროება შესაბამისი ტექნიკით (უნივერსალური გასაშლელი საკაცე, საკაცის საკეტი, სათადარიგო საკაცე, საიმობილიზაციო ფარი, ჟანგბადის ბალონი საფიქსაციო კომპლექტითა და რედუქტორით, ჟანგბადის წნევის რეგულატორი, კარადები, ცეცხლმაქრი, გადასხმის სისტემის საკიდი, სათადარიგო საბურავი, სპეციალიზირებული სტიკერები და ა.შ.) აღჭურვილი 12 (თორმეტი) ერთეული სპეციალიზირებული მაღალი გამავლობის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ავტომობილის შესყიდვა.

სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს მიერ განხორციელდა შესაბამისი ბაზრის კვლევა და განისაზღვრა შესყიდვის სავარაუდო ღირებულება. ერთი ერთეული მაღალი გამავლობის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ავტოსატრანსპორტო საშუალების სავარაუდო ღირებულებაა 127 400 (ას ოცდაშვიდი ათას ოთხასი) ლარი, საერთო ღირებულება შეადგენს 1 528 800 (ერთი მილიონ ხუთას ოცდარვაა ათას რვაასი) ლარს. წინასწარი ინფორმირების მიზნით საკითხთან დაკავშირებული ინფორმაცია/დოკუმენტაცია ელექტრონული ფოსტის საშუალებით გადაიგზავნა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში საიდანაც მიღებულია თანხმობა (თან ერთვის) შემდგომი პროცედურების განხორციელებაზე.

შესყიდვები განხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, ელექტრონული ტენდერის საშუალებით.

ამასთან, „სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 იანვრის N33 დადგენილებით, განისაზღვრა კლასიფიკატორის კოდების ჩამონათვალი, რომელთა მიხედვით შესყიდვის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს მთავრობის წინასწარი თანხმობის მიღების (სათანადო სამართლებრივი აქტის გამოცემის) შემდგომ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოგიდგენთ საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტს „საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებით წინასწარი თანხმობის მიცემის თაობაზე" (განმარტებით ბარათთან ერთად).

თქვენი თანხმობის შემთხვევაში, გთხოვთ, დაავალოთ სამინისტროს იურიდიულ დეპარტამენტს, განახორციელოს შესაბამისი პროცედურები რათა თანდართული განკარგულების პროექტი წარდგენილი იქნას საქართველოს მთავრობის უახლოეს სხდომაზე დასამტკიცებლად.

პატივისცემით,

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილის
მოვალეობის შემსრულებელი

ნინო ბერძული